საქართველოს კომუნისტური პარტია (ბალშევიკებისა)

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

კომუნისტი

ხუთშაბათი, 21 ოქტომბერი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია პასკევიჩის ქ. № 3 მეორე სართულში. თვიური ხელის მოწერა თავის გაზეთი ღირს 200 მან.

ფასი 10 მან.

№ 73 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტებისა. № 73

ეროვნული ბიბლიოთეკა

«როცა ფედერალისტები მოითხოვენ თვითეულ კუთხისათვის კანონმდებლობას სამოქალაქო და სოციალურ დარგებში, ამით ისინი ხელს უწყობენ სახელმწიფოს აჯრელებას უფლებრივათ, რაიც თავის მხრით ასუსტებს კავშირს სხვა და სხვა კუთხის მშრომელ მასსის შორის, ადუნებს მის მაჯის ცემას. ამიტომ ეს მოთხოვნა უკუგდებულ უნდა იქნას, რადგორც რეაქციონული... რას გულისხმობენ ისინი გამოუოფილ საქართველოში? სახელმწიფოს... რუსეთი საზოგადოთ და ამიერკავკასია კერძოთ უნდა დაიყოს რამდენსამე სახელმწიფოდ; თვითეული სახელმწიფო, რამდენათ კითხვა შინაურ პოლიტიკას ეხება, აღჭურვილ უნდა იქნას სუფერენულ ძალაუფლებით, — აქედან საქართველო, ფედერალისტების წარმოდგენით, ერთ-ერთ მოკავშირე სახელმწიფოდ უნდა გარდიქნას... პრინციპი, რომლითაც ხელმძღვანელობენ ფედერალისტები, არის, როგორც დავინახეთ, წვრილ-ბურჟუაზიული, რეაქციონული...“

ან-ჩინ (აკ. ჩხენკელი). „ერი და ჩვენ“, გვ. 63 და 65 1915 წ.

მენშევიკური სოციალიზმი

სოციალიზმის პრაქტიკულათ განხორციელების საკითხი დღიურ წესრიგში დგას. აუცილებელია ან მის წინააღმდეგ ბრძოლა, ან მისი ხელის შეწყობა. პირველს გააფთრებულათ აწარმოებს ბურჟუაზია, მეორეს თავგამოდებით ეწევა პროლეტარიატი.

ამ ორი უმთავრესი საზოგადოებრივი კლასის ბრძოლა სწყვეტს საკითხს. მაგრამ არის კიდევ მესამე ძალა—წვრილი ბურჟუაზია, რომელიც თავისი მდგომარეობით ქანაობს ამ ორ კლასს შუა. მას არც ბურჟუაზიის სიმდიდრე შესწევს და არც პროლეტარიატის ბრძოლის უნარიანობა. ის ვერც ბურჟუაზიას ეკედლება სამუდამოთ და ვერც პროლეტარიატს ემხრობა საესებით. აქედან წარმოსდგება მისი ორჭოფული მდგომარეობა სოციალიზმის საკითხში. ის ვერც სამუდამოთ უარყოფს სოციალიზმს და ვერც გადაჭრით დგება მის დროშის ქვეშ მებრძოლთა რიგში. სხვადასხვა სახელწოდების სოციალისტური პარტიები, ყველა ქვეყნის მენშევიკები არიან გამომხატველი ამ წვრილ ბურჟუაზიული რყევისა და დაუდგრომლობისა, სოციალიზმის სიტყვით მომხრეობისა და საქმით უარყოფისა.

ეს პარტიები ვერ უარყოფენ სოციალიზმს, როგორც ამას სჩადიან აშკარა ბურჟუაზიული პარტიები. ისინი მას სიტყვიერათ აღიარებენ მაშინაც, როდესაც მის წინააღმდეგ ბურჟუაზიასთან ერთათ მოქმედებენ. ისინი უარყოფენ ერთათერთ ნამდვილ გზას, რომელსაც სოციალიზმისკენ მიჰყავს კაცობრიობა, ისინი უარყოფენ პროლეტარიატის დიქტატურას, მაგრამ ამავე დროს ისინი აყენებენ თავის საკუთარ გზას, რომელიც მათი მტკიცებით უფრო იოლათ შეგვიყვანს სოციალიზმის სამეფოში; ეს გზა არის ყბად აღებული დემოკრატიზმი, სოციალიზმისკენ პირდაპირიდა მაშასადამე, უფრო მოკლე გზით მიმავალი. ისინი სიტყვით მითომ არ უარყოფენ სოციალიზმს, მხოლოთ დღევანდელ პირობებში ნაადრევათ მიაჩნიათ მისი განხორციელება.

ასეთი სოციალისტობა, რომელიც სიტყვით სოციალიზმის მზეს იფიცავს, ხოლო საქმით თითსაც არ ანძრევს მის სასარგებლოთ, იმდენათ საეჭვო ღირსებისაა, რომ მას ბრძოლის ინტერესების თვალსაზრისით გაცილებით სჯობია აშკარა და მიუკიბ-მოუკიბავი ბურჟუაზიული ლიბერალიზმი. მას რყევა და ვაუბედაობა შეაქვს პროლეტარიატის მებრძოლ ბანაკში, რითაც ხელსაყრელათ სარგებლობს ბურჟუაზია. ბურჟუაზიულ ლიბერალიზმს ნაკლებათ შეუძლია პროლეტარიატის წრეების მოტყუება, წვრილ-ბურჟუაზიული სოციალიზმი კი დიდათ აფერხებს ატეხილ ბრძოლის გაალმასებას და მის ნაკლები მტკიცნელობით დასრულებას.

რა საკითხიც უნდა წარმოსდგეს, რა კონკრეტიული შემთხვევაც უნდა იდგეს დღის წესრიგში, წვრილი ბურჟუაზია მას ვერ უკავშირებს სოციალიზმის საკითხს. სოციალიზმი მისთვის მუდამ ნაადრევი საკითხია. თავისი მერყეობის დასასაბუთებლათ ის მარქსსაც ეპოტინება და იქიდან სესხულობს მთელ დებულებებს თავისი პასივობის და ხშირათ მოღალატობა-მუხანათობის გასამართლებლათ.

ამის თვალსაჩინო მაგალითია მენშევიკების მიერ მოწყობილი ეკონომიური თათბირები; აქ ისინი მარქსით იწყებენ და მარქსით ათავებენ ყოველ თავის დებულებას, და სოციალისტი მარქსი მათ მხოლოთ იმიტომ უნდათ, რომ უარყონ თვით სოციალიზმის საკითხი პრაქტიკულათ და არაფერი შესცვალონ არსებულ ბურჟუაზიულ წყობილების სისტემაში. კატასტროფა კარზე მომდგარია, მარა სოციალიზმი მაინც ვერ გვიხსნის, უნდა ვეცადოთ ისევ ეს გაკოტრებული წყობილება აღვადგინოთ როგორმე. ასეთია უკანასკნელი კითხვა მენშევიკური სოციალიზმისა.

კაპიტალისტური ქვეყნიერება და კომუნისტური ინტერნაციონალი

(მანიფესტი კომუნისტური ინტერნაციონალის მე-2 კონგრესის)

(გაგრძელება იხ. № 72)

V.

პროლეტარული რევოლიუცია და კომუნისტური ინტერნაციონალი.

მთელს მსოფლიოში სამოქალაქო ომი ჩაყენებულია დღის წესწერიგში. მისი დროშაა —საბჭოთა ძალაუფლება.

კაპიტალიზმმა კაცობრიობის მასსების უუდიდესი ნაწილი გააპროლეტარა. იმპერიალიზმმა ეს მასსები გამოიყვანა წონასწორობიდან და რევოლიუციურად აამოძრავა. უკანასკნელ წლებში ცვლილება განიცადა თვით ცნებამ „მასსა“. ის, რაც პარლამენტარიზმის და ტრედუნიონიზმის ხანაში მიჩნეული იყო მასსად, ახლა ზედაფენებად იქცა. მილიონი და ათეული მილიონი ადამიანები, რომლებიც პოლიტიკური ცხოვრების გარეშე იყვნენ, ახლა რევოლიუციონურ მასსად იქცევიან. ომმა ყველა ფეხზე დააყენა, გააცხოველა თვით ჩამორჩენილ წრეების პოლიტიკური ყურადღება, აღუძრა მათ ილიუზიები და იმედები, და მოატყუა ისინი.

შრომის ამქრული კარჩაკეტილობა და პროლეტარიატის ზედაწრეების ყოფაცხოვრების შედარებით წონასწორობა, უკიდურესი და აპატიური უიმედობა ქვედანაწილების სიღრმეში —ეს სოციალური საფუძველი მუშათა მოძრაობის ძველი ფორმებისა,—სამუდამოდ გაჰქრენ. ახალი მილიონები არიან ჩაბმული ბრძოლაში.

დედაკაცები, მამების და ქმრების დამკარგველნი და მათი შრომის ძალაუნებურად გამაგრძელებელნი, ფართო ნაკადათ უერთდებიან მოძრაობას. მუშური ახალგაზრდობა, რომელიც აღზრდილია მსოფლიო ომის ჰექა-ქუხილის ქვეშ, რევოლიუციას ეგებება, როგორც მშობლიურ სტიქიას.

სხვა და სხვა ქვეყნებში ბრძოლა სხვა, და სხვა საფეხურზეა ასული. მაგრამ ეს უკანასკნელი ბრძოლა. მოძრაობის ტალღები ხანდახან იჭრებიან დრომოჭმული ორგანიზაციურ ფორმებში და დროებით მათ ახალი [illegible]ოცოცხლით ავსებენ. ძველი იარლი[illegible] და გაცვეთილი ლოზუნგები აქა იქ ცურაობენ ნაკადის ზედაპირზე. ბლომათაა არევდარევა, სიბნელე, ცრუმორწმუნოება და ილიუზიები აზროვნებაში. მაგრამ საერთოდ მოძრაობას აქვს ღრმა რევოლიუციონური ხასიათი. ის საყოველთაო და შეუკავებელია. ის ფართოვდება, მტკიცდება, იწმინდება ძველი ნაყარნუყარის თავიდან მოცილებით. ის არ შეჩერდება, სანამ მსოფლიო პროლეტარიატის გაბატონებით არ დაბოლოვდება.

ამ მოძრაობის ძირითად ფორმას წარმოადგენს გაფიცვა. მისი უმარტივესი და უუძლიერესი გამომწვევი მიზეზია—მოხმარების საგნების ფასების ზრდა. ხშირად გაფიცვით თავდება ცალკე ადგილობრივი ხასიათის კონფლიქტები. ის თავს იჩენს, როგორც გამოხატულება მასსების მოუთმენლობისა, გამოწვეული სოციალისტების საპარლამენტო ნაცოდვილარით.

მას ბადებს სოლიდარობის გრძნობა თავის საკუთარი და უცხო ქვეყნების დაჩაგრულთადმი. ის აერთიანებს ეკონომიურ და პოლიტიკურ ლოზუნგებს. მასში ხშირად შეუღლებულია რეფორმიზმის ნამსხვრევები და სოციალ-რევოლიუციონური პროგრამის ლოზუნგები. ის ნელდება ხოლმე, თავდება, ხელახლა იფეთქებს ხოლმე და აზანზარებს წარმოებას, და მით უფრო ბრაზს გვრის ბურჟუაზიას, რომ ყოველი შემთხვევით სარგებლობს, რათა სალამი უძღვნას საბჭოთა რუსეთს. წინაგრძნობა არ ატყუებს ექსპლოატატორთ: ეს ქაოტიური გაფიცვა ნამდვილათ საერთაშორისო პროლეტარიატის ურთიერთის გამოძახილი და მობილიზაციაა.

ღრმა დამოკიდებულება ერთი ქვეყნისა, მეორეზე, რაც ასე კატასტროფიულად გამოაშკარავდა ომის დროს, ვან საკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს შრომის იმ დარგებს, რომლებიც ერთ ქვეყანას მეორეს უერთებს, და წინა რიგში აყენებს რკინის გზების და საზოგადოთ ტრანსპორტის მუშებს. ტრანსპორტის მუშებს შემთხვევა მიეცათ თავისი ძალის ნაწილობრივ გამოჩენის თვითრი ვენგრიის და თეთრი პოლონეთის ბოიკოტის სახით. გაფიცვა და ბოიკოტი ე. ი. ისეთი მეთოდები, რომლითაც სარგებლობდა მუშათა კლასი თავისი პროფესიონალური ბრძოლის განთიადზე, სანამ ის პარლამენტარიზმით სარგებლობას დაიწყებდა,—გაუგონარ ფართო ხასიათს და ახალ სახიფათო მნიშვნელობას ღებულობენ: ეს—საარტილერიო მომზადებაა უკანასკნელი იერიშის.

სულ მეტი და მეტი უძლურება ცალკე პიროვნების ბრმა ისტორიულ მოვლენათა ძლევამოსილ ამოძრავების წინაშე ერკვება პროფესიონალურ ორგანიზაციების ბანაკისკენ არა მარტო მუშების და მუშა-ქალების ახალ წრეებს, არამედ მოსამსახურეებსაც, მოხელეებსაც და წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენტებსაც. სანამ პროლეტარული რევოლიუციის მსვლელობა აიძულებდეს საბჭოების დაარსებაზე—რომლები ერთბაშათ მოექცევიან ყველა ძველ მუშურ ორგანიზაციების ზემოთ-მშრომელები ეკედლებიან ტრადიციულ პროფესიონალურ კავშირებს, ითმენენ დრომდის მათ მოძველებულ ფორმას, მათ ოფიციალურ პროგრამას, მათ მმართველ ზედაწრეებს, მაგრამ იმავე დროს შეაქვთ ორგანიზაციაში სულ უფრო და უფრო ძლიერი ბრძოლის წყურვილი მრავალმილიონიანი მასსების.

წელში იმართებიან დაჩაგრულთაგან დაჩაგრულნი—სოფლის პროლეტარები, მოჯამაგირეები. იტალიაში, გერმანიაში და სხვა ქვეყნებში ნიშნებია სოფლის მეურნეობის მუშების რევოლიუციონური მოძრაობის საუკეთესო ზრდის და მათი ძმურად დაახლოვების ქალაქის პროლეტარებთან.

ცვლილებას განიცდის გლეხობის ულარიბესი ნაწილების დამოკიდებულება სოციალიზმის მიმართ. თუ საპარლამენტო რეფორმისტების ქათინაურები მესაკუთრე გლეხის ცრუ-რწმენების მიმართ უნაყოფო რჩებოდენ,—სამაგიეროთ ნამდვილი რევოლიუციონური მოძრაობა პროლეტარიატის, მისი შეურიგებელი ბრძოლა დამჩაგვრელთა წინააღმდეგ იმედის შუქს ფენს უკიდურესად ჩამორჩენილ, მიწაზე განართბულ, აწიოკებულ სოფლის მესაკუთრის სულსაც —კი.

უძირია ადამიანის სიღატაკის და სიბნელის ოკეანე. ყოველ წელში გამართულ წრეს უკან რჩება ახალი წრე, რომელიც წამოდგომას აპირებს. მაგრამ ავანგარდმა არ უნდა მოუცადოს მძიმეთ მოარულ სულ უკანა რეზერვებს რათა ჩაებას ბრძოლაში. თავის უკიდურესათ ჩამორჩენილ წრეების გამოღვიძების, მათი წელში გამართვის და პოლიტიკურად აღზრდის მუშაობას პროლეტარიატი შეასრულებს მხოლოდ მას შემდეგ, როცა ძალაუფლებას დაეპატრონება.

(შემდეგი ხვალ.)

საბჭოთა რუსეთის პრესა.

ჩინეთი და საბჭოთა რუსეთი

ეხლანდელი ჩინეთი ცოცხალი სურათია იმისი, თუ რამდენათ ძლიერია საბჭოთა რუსეთის გავლენა დაჩაგრულ ხალხებს შორის. ჩინეთი—ეს „შორეულ აღმოსავლეთის ბალკანეთია“-ო, სთქვა ერთმა ამერიკელმა ჟურნალისტმა, რომელიც (ჩინეთი) განწირულია იმისთვის, რომ მას გაიყოფენ მსოფლიო იმპერიალისტური მტაცებლებიო. ჩინეთი, რომელიც ბატონყმურ პირობებით არის ხელშეკრული იაპონიასთან. ყურს უგდებს რუსეთის პროლეტარულ რევოლიუციის ჰექა-ქუხილს და უკვე გაღვიძების გზაზეა შემდგარი.

მას შემდეგ, რაც წარმატებით იმარჯვებს საბჭოთა რუსეთი ყველა ბრძოლებში და რაც ჩინეთში შეიჭრა რუსეთის პროლეტარიატის ლოზუნგები, მას შემდეგ თან და თან იჩრდილება, მკრთალდება ჩინეთის რევოლიუციონურ მოძრაობის ნაციონალური სახე. ჩინეთის საზოგადოებრივ წრეებში იზრდება სურვილი სოციალისტურ მოძღვრების შესასწავლათ. იქ უკვე დაისვა კითხვა ქალების უფლებრივ გათანასწორებაზე და ოჯახურ ურთი ერთობის რეკონსტრუციის შესახებ. მუშათა საკითხს დიდის ყურადღებით ეპყრობა ჩინეთის პრესა. ჩინეთის პერიოდულ პრესაში და თანამედროვე ლიტერატურაში საბჭოთა რუსეთის ცხოვრების განხილვას დიდი ადგილი აქვს დათმობილი. თითქმის ყველა გაზეთებში და ჟურნალებში (პეკინში მარტო არის 80 ჩინური გაზეთი) არის განყოფილება რუსეთის შესახებ, სადაც ათავსებენ ცნობებს რუსეთიდან და ციმბირიდან, ათავსებენ რუსეთის კლასიკების ნაწარმოების თარგმნილებს (გოგოლის, ტურგენევის, ტოლსტოის, პუშკინის, გორკის,) აგრეთვე ამ ჟურნალ გაზეთებში იბეჭდება თანამედროვე ცხოვრების შესახებ პუბლიცისტური სტატიები. ჟურნალ—„სინ ჩუნ-ბაო“—„ახალი ჩინეთის“ რედაქციამ დაიწყო რუსეთის მწერლობის ნაწარმოებთა გამოცემა ჩინურ ენაზე.

არა ჩვეულებრივათ აამოძრავა ჩინეთის საზოგადოებრივი გონება საბჭოთა რუსეთის ჩინეთის ხალხისადმი მოწოდებამ, რომელითაც საბჭოთა რუსეთი აცხადებდა, რომ ის უარყოფს ცარიზმის იმპერიალისტურ პოლიტიკას. მთელი ახალგაზრდა ჩინეთი ერთსულოვანათ გამოეხმაურა საბჭოთა რუსეთის ამ აქტს.

მრავალ გზის რეზოლიუციებმა და ჩინეთის პრესაში მოთავსებულმა სტატიებმა, ყველა ამმებმა ხელი შეუწყეს იმას, რომ რუსეოის საბჭოთა რესიუბლიკა დიდის სიმპატიით სარგებლობს ჩინეთის ხალხის ფართო წრეებში. ჩინელები დიდი თაყვანის მცემლები არიან ავტორიტეტის საერთოთ, ისინი დიდი პატივისცემით ლაპარაკობენ რუსეთის რევოლიუციის ბელად-ამხ. ლენინზე. ამ წერილის ავტორს უჩვენეს ჩინურ გაზეთებიდან სტატიები, რომლებსაც ასეთი სათაური ჰქონდა: „კონფუციკია და ლენინი.“

დიდი პოპულიარობით სარგებლობს ტროცკის, ლუნაჩარსკის და სხვა საბჭოთა რუსეთის მოღვაწეთა სახელები. ცნობილ ჟურნალისტის, რენსომეს წიგნაკი: „ექვსი კვირა საბჭოთა რუსეთში“—უკვე გადათარგმნილია ჩინურ ენაზე და ფართოთაც ვრცელდება ჩინეთში.

ჩინეთი საბჭოთა რუსეთისაკენ მიისწრაფის.

ყოველთვის, როდესაც კი ვხვდებოდი ჩინეთის საზოგადოებრივ წარმომადგენლებს და აგრეთვე პეკინის მთავრობის ოფიციალურ წარმომადგენლებს, ისინი ყოველთვის მეკითხებოდენ დეტალურათ იმაზე, თუ როგორი არის რუსეთის საბჭოთა ამშენებლობის წესი. ჩინეთის სტუდენტობის წარმომადგენლები მეკითხებოდენ მაზე, შეეძლებათ მათ თუ არა რუსეთის უმაღლეს სასწავლებელში შესვლა. პეკინის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლები იმაზე ბჭობდენ, რომ ისინიც ხელფეხ შეკრულნი არიან ანტანტის მიერ და არ შეუძლიათ დამოუკიდებლათ მოქმედება; მაგრამ ისინი ძლიერ დაინტერესებულნი არიან საბჭოთა რუსეთის ცნობით“.

ამ მხრივ საყურადღებოა ერთი დეტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლით პეკინში ინგლისის მისია შეეკითხა ჩინეთის მთავრობას პროვინცია „სინ-კიანგის“ (ჩინეთის თურქესთანი) ჩინეთის მთავრობასა და თურქესტანის ბალშევიკებს შორის დადებულ სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ.

ვაი ტაი-პუმ (ჩინეთის მინინდელი) შემდეგი უპასუხა: „აუცილებელია ორი მოსაზღვრე ქვეყნებისათვის ასეთი ხელშეკრულება, რუსები თურქესტანის საზღვრებზე ძლიერ ლოიალურათ იქცევიან და ამიტომ ჩინეთის მთავრობა მათგან არავითარ საფრთხეს არ მოელის“—ეს პასუხი ძლიერ საინტერესო იყო.

ყველა ამის მიზეზია ის, რომ ასეთ ძლიერებას იჩენს საბჭოთა რუსეთი ამ ისტორიულ მოვლენების დროს, რომ ის ებრძვის მთელს კაპიტალისტურ მსოფლიოს. ჩინეთი ხედავს იმას, რომ რუსეთის პროლეტარიატი იმარჯვებს მრავალ-რიცხოვან ფრონტზე; ის ხედავს აგრეთვე ანტანტის უძლურებასაც და ის, როგორც ჩვენ, დარწმუნებულია იმაში, რომ საბჭოთა რუსეთი გაიმარჯვებს—ასე ფიქრობენ მთელი ქვეყნის დაჩაგრული ხალხები, რომელთა სურვილია იმპერიალიზმის მონობიდან თავის განთავისუფლება. სამწუხაროთ, უნდა ვაღიაროთ, რომ საბჭოთა რუსეთმა ძლიერ ცოტა გააკეთა იმ მხრივ, რომ გაემაგრებია თავისი გავლენა ჩინეთში—იქ სამწუხაროთ, ჯერ კიდევ სხედან კუდაშოვები. ჩვენ არ ვიჩენთ საჭირო აქტივობას, შორეულ აღმოსავლეთის კითხვის გამორკვევის პოლიტიკას ყურადღებას არ ვაქცევთ. ჩვენ საჭირო ყურადღებას არ ვაქცევთ აღმოსავლეთ აზიას, ჩინეთის 400 მილიონიან მშრომელებს, სადაც იმალება უზარმაზარი რევოლიუციონური ენერგია, რომელიც შეიძლება საუკეთესო თანამშრომელი გახდეს რუსეთის პროლეტარიატის, მის ტიტანიურ ბრძოლაში კაპიტალისტურ ქვეყნის წინააღმდეგ, რაც ამ ქვეყანას ნაცარმტვერათ აქცევს.

ვლ. ვილენსკი-სიბირიაკოვი.

გაზ. „იზვესტია“ № 192.

გიულეტენი პრესგიუროსი

რ. ხ. ფ. ს. რ. წარმომადგენლობისა საქართველოში.

იტალიაში.

რეველი, 5 ოქტომბერი. „დეილ გერალდის“ რომის კორესპოდენტი იუწყება, რომ ბრინდში სანავთ-აღმშენებლო ქარხნების მუშებმა დოკი (გემების საშენებელი ადგილი) დაიპყრეს და წითელი დროშა აღმართეს.

რეველი, 5 ოქტომბერი. მილანიდან იუწყებიან, რომ 2000 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის ხევრებმა იარაღის საშვალებით დაიპყრეს დიდი მამულები, რომლებიც კაროლის სასახლეს ეკუთვნოდა. მამულების დაკავება მწყობრათ ჩატარდა. შეიარაღებულები წითელი დროშებით შევიდენ მამულებში.

იაპონელების ჯარების გაყვანა.

რეველი, 8 ოქტომბერი. „ჟურნალ დედებო“ იუწყება, რომ იაპონელების ჯარები უხურიის ჭალებიდან და ხაბაროვსკიდან გავიდენ. ნიკალაევსკს ზამთრის დასაწყისში დატოვებენ. დაცლილი ადგილები ვლადივასტოკის მთავრობას გადაეცემა.

მუშები ქუჩაში გაჰყარეს.

მოსკოვი, 12 ოქტომბერი. ოსაკში (იაპონიაშია) საერთო საწარმოო კრიზისის გამო ამჟამათ 700 სართავი ქარხანაა დამდგარი. 50 ათასზე მეტი მუშა უმუშევრათ დარჩა.

სინფერეინამების მოძრაობა.

მოსკოვი, 8 ოქტომბერი. სექტემბრის ბოლოში, ქ. კორკში (ირლანდიაში) სინფერეინამებმა ყუმბარით საშინელი აფეთქება მოახდინეს, რამაც დაანგრია მაუდის ფაბრიკა 27 სექტემბერს დუბლინის ახლოს დაესხენ მოუთავებელ საპოლიციო ყაზარმებს და დასწვეს. საპასუხოთ პოლიციელებმა 40 სახლი დასწვეს.

ფრონტის საჭიროებანი

მოსკოვი, 18 ოქტ. ამხ. ტროცკი 17 ოქტომბრის წერილში ვრანგელის ფრონტის მდგომარეობას აფასებს. იგი აღიარებს, რომ მოსალოდნელია ძლიერი ბრძოლა: ვრანგელის არმიამ მთელი სამოქალაქო ომიდან დიდი გამოცდილება შეითვისა. ყველაზე უფრო გამოცდილ ელემენტებმა კოლჩაკის, იუდენიჩის და დენიკინის არმიებიდან ვრანგელის გარშემო მოიყარეს თავი. ვრანგელის ზურგი კიდევ მაგარია: სურსათ-სანოვაგის და საომარ მასალების წყარო დაუშრეტელია მისთვის.

დროებითი ზავი პოლონეთთან ხელმოწერილია. საფრანგეთი ისევ ცდილობს ვრანგელის, პეტლიურის და შავკანიან ჯარების საშვალებით რუსეთს უკრაინა მოწყვიტოს და საფრანგეთის კალონიათ აქციოს. ყოველივე იმას გვეუბნება, რომ სამხრეთში მოსალოდნელია დიდი სამხედრო ამოცანები გადიჭრას. ჩვენს ცენტრალურ საკითხს დღეს სურსათ-სანოვაგის და სამხედრო მასალების მომარაგება წარმოადგენს. არასდროს მკერავებზე და მეწაღეებზე ომის ბედი ისე არ ყოფილა დამოკიდებული, როგორც ამჟამათაა, ვინაიდან შეკრებილი ნივთები მხოლოდ უფრო არსებითი საჭიროებებს დააკმაყოფილებს.

გერმანიის დამოუკიდებელთა შეერთება მესამე ინტერნაციონალთან.

ნაუენი, 18 ოქტომბერი. გალიის ყრილობაზე დამოუკიდებელთა უმრავლესობის მიერ მოსკოვის ინტერნაციონალთან შეერთებების რეზოლიუციამ ზომიერ და რადიკალურ ფრთებ შორის სრული განხეთქილება გამოიწვია. მემარჯვენე ფრთის თავმჯდომარეებათ არჩეულ იქნენ კრისპინი და ლედებური, მდივნებათ—დიტმანი და ლუიზა ციცი. მარჯვენა ფრთა მწუხარებას გამოთქვამს პარტიაში შექმნილ უთანხმოებების გამო. ისინი (დამოუკიდლები) მიუთითებენ მოსკოვის უღლის ქვეშ შესვლის შეუძლებლობაზე.

მემარცხენე ფრთის თავმჯდომარეებათ აირჩიეს დეი მიუგი და ადოლფ გოფმანი. ზინოვიევმა წინადადება შეიტანა აირჩიონ წარმომადგენელი მოსკოვის აღმასრულებელ კომიტეტში და მიესალმა პარტიიდან ზომიერთა გასვლას, რომლებიც წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიებს შეუერთდებიანო. დეიმიუგმა ყრილობას გერმანიის პროლეტარიატის გაერთიანების სათავე უწოდა თავის მთავარ მტრის—კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისთვის სოციალისტური რევოლიუციის საშუალებით. ახლა ერთიანი კომუნისტური პარტიის შესაქმნელათ გზა გაკაფულია. მაიერმა გაილაშქრა დიტმანის წინააღმდეგ რუსეთის პროგებების შესახებ დებულების გამო და სურვილი გამოსთქვა, რომ გერმანიის პროლეტარიატს უმჯობესია მცირე კლასიური განათლება ჰქონდეს, ხოლო რევოლიუციონური უნარი კი მეტი.

გერმანიის პრესა დამოუკიდებელთა ყრილობის შედეგებზე.

ნაუენი, 19 ოქტ. უპარტიოთა გაზეთი „ფრეიხ-ეიტი“ ყრილობის შედეგებით არ არის კმაყოფილი და ამბობს, რომ განხეთქილება ასუსტებს მუშათა მოძრაობას. მისი აზრით განხეთქილება საზღვარ-გარეთელი ინტრიგების ნაყოფია.

„ფორვერტსი“ ამ განხეთქილებას პირველ მნიშვნელობის პოლიტიკურ მოვლენას უწოდებს. იგი აღნიშნავს. რომ ეს განხეთქილება კომუნისტებს გააძლიერებსო.

ზინოვიევი და ლოზოვსკი გერმანიაში

ნაუენი, 19 ოქტომბერი. გუშინ შესდგა კომუნისტური ინტერნაციონალის გერმანიის სექციის მასიური მიტინგი. მიტინგზე უნდა გამოსულიყო ამხ. ზინოვიევი, მაგრამ ავადმყოფობის გამო ვერ გამოვიდა. ამასობაში გერმანიის მთავრობამ ზინოვიევს და ლოზოვსკის წინადადება მისცა, რომ გერმანიიდან გავიდენ, ვინაიდან იქ ყოფნის ნებართვის ვადაც გათავდა და მათი მისიაც შესრულებულია.

კრისპინის და ლედებურის მოწოდება

ნაუენი, 19 ოქტ. კრისპინმა და ლედებურმა პროლეტარიატის მიმართ მოწოდება გამოუშვეს. ისინი მოუწოდებენ მუშებს გამოვიდენ და მოითხოვონ მრეწველობის მთავარი დარგების ნაციონალიზაცია. ისინი მოუწოდებენ პროლეტარიატს მთელი ეკონომიური და პოლიტიკური ძალა ამ მხრივ მიმართონ.

საბჭოებისთვის ბრძოლა

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. „როტეფეინენეს“ ცნობით შუა სექტემბერში ხემნიცში მოიწვიეს საკსონიის მუშათა პოლიტიკური საბჭოების კონფერენცია, რომელზედაც საკსონიის 19 სხვილი ინდუსტრიალური ცენტრების დელეგატები დაესწრენ. ყრილობამ ყველა დამსწრეს (ყრილობაზე) დაავალა საკსონიის მუშათა პოლიტიკურ საბჭოების არჩევნებისთვის პროპაგანდა გასწიონ და ყოველგან, სადაც კი შეიძლება, არჩევნებს შეუდგენ. აირჩიეს დროებითი აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშაც შევიდა ერთი სოციალ-დემოკრატი, ერთი—დამოუკიდებელი და 7 კომუნისტი. კომიტეტის ვალდებულებას შეადგენს თვალი ადევნოს არჩევნების სწორ მსვლელობას და ახალი საბჭოების მოწყობის შემდეგ მოიწვიოს მუშათა პოლიტიკური საბჭოების სრულიად საქსონიის ყრილობა.

ბერლინში, დიდ ქარხნებში უკვე არ არჩეულია მუშათა საბჭოები, რაზედაც უკვე იუწყებიან რეიხშეიდიდან, ზოლინგერიდან, რურის ოლქიდან, მაგდენბურგიდან და სამთამადნო რაიონიდან—გეიზელტალიდან. არჩევნებში ხმის უმრავლესობას კომუნისტები ღებულობენ. გეიზელტალის ოლქში, მაგალითად, ლესი გარდის მაღაროში 602 ხმიდან კომუნისტებმა 432 ხმა მიიღეს. ეკონომიურად და სოციალისტურად ჩამორჩენილი მეკლენბურგიც ამ სტიქიური მოძრაობითაა მოცული: ქ. როსტოკში, ცნობილ გემთა-საალმშენებლო „ნეპტუნის“ ვერფშიაც აირჩიეს მუშათა დეპუტატების პოლიტიკური საბჭოები.

შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის მთავრობა და ჩიტის მმართველები.

ვერხნეუდინსკი, 3 სექტემბერი. ჩიტის ახალი მთავრობის წარმომადგენლებმა შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის მთავრობას თხოვს, ჩიტაში დელეგაციის გამოგზავნას, რომელსაც ხელშეუხლებლობას აღუთქვამენ. ჩიტის მთავრობას აინტერესებს გაგება იმისა, თუ რომელი პარტიაა შორეულ-აღმოსავლეთის რესპუბლიკის სათავეში.

შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის მთავრობა ჩიტის მთავრობას შემდეგ პასუხს აძლევს:

„შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის საზოგადოებრივი ორგანიზაციები ვერ დათანხმდებიან ჩიტის სახალხო კრება დემოკრატიულ მთავრობათ ჩათვალონ.

ჩიტის სახალხო კრება მხოლოდ ატამანშჩინის ფორმაა, ვინაიდან შეიარაღებული ძალები ისევ სემიონოვის ხელშია. ხელოვნურად შექმნილი სახალო კრება უძლურია ატამანიის სამშობლოში პოლიტიკურ მდგომარეობაზე ზედგავლენა მოახდინოს, სადაც ძველებურათ ხდება ყაჩაღობა, მკვლელობა და ძალმომრეობა. ნამდვილი დემოკრატიული რეჟიმი ჩიტაში მხოლოდ მა-შინ მოეწყობა, როდესაც სემიონოვს გადააყენებთ და მის მაგიერ ალაგს ხალხის მიერ არჩეული ორგანო დაიჭერს. ვთვლით რა სახალხო კრებას სუსტათ და მის გარანტიებს არა იმედით, დელეგაცია ჩიტაში მდგომიარეობის შეცვლ ამდის უარს აცხადებს თქვენს მფარველობის ქვეშ ჩიტაში წამოსვლაზე“.

ჩიტის „დემოკრატიული“ მთავრობის შემადგენლობა.

ვერხნეუდინსკი, 30 სექტემბერი. ზემო-უდინსკის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების დელეგაციის თავმჯდომარემ ჩიტის მთავრობისაგან მიიღო შემდეგი ცნობები მთავრობის შემადგენლობაზე, რომელიც მოეწყო სემიონოვის განკარგულებით 8 სექტემბრიდან.

ახალ სახალხო ყრილობაში შედის 3 წარმომადგენელი ერობიდან, ორი ყაზახთა სამხედრო მმართველობიდან, ერთი—ბურიატებიდან, ერთი—ქალაქის თვითმართველობიდან, ორი ვაჭარ-მრეწველებიდან, ერთი ჩიტის პროფესიონალურ კავშირებიდან და თითოთითო კ.-დ., სახალხო სოციალისტების, სოც.-დემ. და სოც. რევ. პარტიებისგან. მემარცხენე ესერები და კომუნისტები ყრილობაზე არ მოვიდენ. სემიონოვი მთავარ სარდლათ დარჩა. სახალხო ყრილობას ჩააბარეს სრული სამოქალაქო უფლება. ჯარის ხელმძღვანელათ გენ. ვერაებიცკი დანიშნეს. საბჭედრო ხელმძღვანელები სამოქალაქო ხელმძღვანელებს არ ემორჩილებიან.

12 სექტემბერს საოლქო ყრილობამ გამოაცხადა თავი დაშლილათ.

16 სექტემბერს ახალმა სახალხო ყრილობამ ერთხმათ მიიღო დეკლარაცია დამფუძნებელ კრების მოწყევის საშვალებით შორეულ აღმოსავლეთის ოლქების გაერთიანებაზე ცენტრალურ რუსეთთან შეთანხმებით.

„მავნე იდეების წინააღმდეგ“ მებრძოლი დეპარტამენტი.

მოსკოვი, 10 ოქტ. იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გადასწყვიტა დაარსდეს „მავნე იდეებთან“ მებრძოლი დეპარტამენტი. დეპარტამენტი დაუყოვნებლივ შეუდგება „მავნე იდეებს“ შესწავლა-„გაცნობას ჩინეთში, ციმბირში და სხვა ქვეყნებში და ყოველ ზომებს მიიღებს რათა იაპონიაში არ შეიჭრას მავნე იდეები.

ამნისტიის შესახები კანონ-პროექტი.

სტამბოლი, 12 ოქტ. ჰინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრებს წინადადება მიეცა გამოიმუშაონ კანონ-პროექტი საყოველთაო ამნისტიის შესახებ.

ფინანსიური დახმარება ოსმალეთს.

ტრაპეზუნდი 15 ოქტომბერი. ანატოლიის დასაწყნარებლათ კონსტანტინეპოლის მთავრობამ სთხოვა ანტანტას ფინანსიოური დახმარება. გაზ. „ახშამ“-ი სწერს, რომ ანტანტამ ამის საპასუხოთ ოსმალეთს მოსთხოვა ცნობები იმის შესახებ, თუ, რამდენი დახმარება დასჭირდება მას. ამის შესახებ საჭირო განმარტებები უკვე მისცა ინგლისს, ოსმალეთის მთავრობამ.

რასკოლი (განხეთქილება) გერმანიის დამოუკიდებელ პარტიაში.

ნაუენი, 20 ოქტომბერი. მემარცხენე დამოუკიდებლებმა გამოუშვეს მანიფესტი, რომლითაც მოუწოდებენ შეუერთდენ მებრძოლ კომუნისტურ ფრონტს.

მემარცხენე დამოუკიდებლები უფლებას არ აძლევენ მემარჯვენე ოპორტუნისტულ ფრთას, რომელიც ყრილობაზე უმცირესობაში დარჩა, რომ თავის თავს ძველი (დამოუკიდებელი ს. დ. პ.) სახელი უწოდოს: „იმავე ბოროტმოქმედებას იმეორებენ ეხლა გილფერდინგი, დიტმანი და კრისპინი, როგორც ომის დროს ჩაიდინეს პროლეტარიატის წინაშე სოციალ-დემოკრატ ებერტმა და მისმა მიმდევრებმა“.

ზინოვიევი და ლოზოვსკი ბერლინში.

ნაუენი, 20 ოქტ. ზინოვიევს და ლოზოვსკის ნება დართეს გერმანიაში დარჩენ 23 ოქტომბრამდის, რადგან ამ დროამდის არ იქნება შესაფერისი გემები. ისინი პოლიციის მხედველობის ქვეშ არიან. მათ თავი უნდა შეიკავონ ყოველივე პოლიტიკურ გამოსვლებისაგან.

კომუნისტების კონგრესი.

მოსკოვი, 10 ოქტ. 28 სექტემბერს დასრულდა ჩეხიის კომუნისტების ყრილობა. ყრილობის მიერ მიღებულ სამოქმედო პროგრამაში შეტანილია მოთხოვნილება უსასყიდლოთ ფაბრიკების, ქვანახშირის მადნების, ბანკების და დამზღვევ საზოგადოების ექსპრორიაციის შესახებ, აგრეთვე საბჭოთა სისტემის შემოღება და შემოღება საყალდებულო შრომის 18—60 წლამდის.

უკანასკნელი ცნობები

სამხ. ოპერატ. 19 ოქტომბრის რადიო-ცნობა რესპუბლიკის „რევოლუციონოვეტის“ საველე შტაბისა.

მოსკოვი, 19 ოქტომბერი.

დასავლეთის ფრონტი

პოლოცკის რაიონში ჩვენი ჯარები რუსეთ პოლონეთის საზღვრებზე დესნა-დასავლეთ დვინის ხაზზე შეჩერდენ.

მინსკის რაიონში ჩვენი ჯარები მინსკის დასავლეთით წინ მიიწევენ და მხოლოთ მზვერავების წინააღმდეგობას ხვდებიან.

ლუცკის რაიონში ცხარე ბრძოლებია, რომლის დროსაც ჩვენმა მოწინააღმდეგის გაცხარებული იერიშები უკუაქცია.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი

სარნენსკის მიმართულებით ოლევსკის ასაღებათ ვიბრძვით.

ნოვოგრად-ვოლინის რაიონში ჩვენი ნაწილები წინ მიიწევენ.

შეპეტოვის მიმართულებით, როგაჩევის და ბარანოვიჩის რაიონებში ჩვენმა ნაწილებმა ისევ დაიკავეს დაკარგული პოზიციები, მიაღწიეს მღ. სლუჩს და მიროპოლზე და ლიუბარზე მიაქვთ იერიშები.

ბუგ-ლეტიჩევის რაიონში ბრძოლები გრძელდება.

სამხრეთის ფრონტი.

ახალი გამარჯვებებია წითელი ჯარებისა, რომლებიც მიიწევენ სამხრეთ დასავლეთისკენ.

საზავო ხელშეკრულობის რატიფიკაცია.

მოსკოვი, 20 ოქტომბერი. 23 ოქტომბერს შეიკრიბება სრ. რ. ც. აღ. კ. პრეზიდიუმი ფინლიანდიასთან და პოლონეთთან საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციისათვის.

წითელ არმიელები—ტყვე არმიელებს.

მოსკოვი, 20 ოქტომბერი. სმოლენსკის გარნიზონის წითელ არმიელების სასარგებლოთ ფულებს და ნივთებს აგროვებენ.

სემიონოვის წინააღმდეგ აჯანყება.

მოსკოვი, 20 ოქტომბერი. ზემო-იუდინსკიდან მოსული ცნობით ჩიტის ჩრდილოეთით გლეხები სემიონოვის წინააღმდეგ აჯანყდენ. აჯანყებულებს ხელმძღვანელობს ეგერის პოლკი, რომელმაც აგერ ახლა მიატოვა სემიონოვი, აჯანყებულები ჩიტიდან 20 ვერხზე მოცილებით არიან.

ტექნიკური მიზეზების გამო ჩვენი გაზეთი დღეს ნახევარი ნომერი გამოდის.

ახალი ამბები

ამხ. შეიმანის ჩამოსვლა რ. ს. ფ. ს. რ. პრესბიურო საქართველოში იუწყება: 19 ოქტომბერს 23 საათზე და 25 წ. თბილისში ჩამოვიდა რ. ს. ფ. ს. რ. სრულ უფლებიანი წარმომადგენელი საქართველოში ამხ. ა. ლ. შეიმანი.

მღვდელი აგიტატორი გაზ. „სახალხო საქმეს“ ს. ტეზერიდან ატყობინებენ, რომ 25 ოქტომბერს ადგილობრივ ეკლესიაში მღვდელი ეწეოდა აგიტაციას სოციალისტების წინააღმდეგ. სხვათა შორის უთქვამს: „ნურაფერს დაუჯერებთ ნასწავლ ხალხს, არაფერი იწამოთ სოციალისტებისა, ისინი გადაგვარების გზას ადგიან და ჩვენი ვალია მათი სწორ გზაზე დაყენება. უნდა უკიჟინოთ ხალხს უსარწმუნოებოდ ვერ იცხოვრებს, რომ მოსალოდნელია ღვთის შეუბრალებელი რისხვა. ძველი დედები მზად იყვნენ სარწმუნოებისათვის გადაეტანათ ყოველგვარი ტანჯვა. ახლა კი სარწმუნოებისათვის უბრალო რამის შესწირვასაც გაურბიხართ. დედამ უნდა აიძულოს შვილები, უკუაგდონ სოციალისტობა და გახდონ მონები სარწმუნოებისაო“.

— **კარლ კაუცკი ინტერვენციის მოსმენა.** „ნაციონალისტის“ № 13 ვკითხულობთ: „გაზ. „მშაკის“ ცნობით კაუცკიმ დეპეშით მიჰმართა ინტერნაციონალს, რათა მან დაბრკოლება არ გაუწიოს ევროპის დიდ სახელმწიფოებს სომხეთისა და საქართველოსთვის სამხედრო დახმარების გამოგზავნაში“.

— **საათის ისარის გადაწევა.** მიმდინარე წლის ოცი ოქტომბრიდან უნავთობის გამო საათის ისარი გადაწეულ იქნა ერთი საათით წინ.

შეცდომის გასწორება.

გუშინდელ „ახ. კომ.“ № 72 მეორე გვერდზე აღმოსავლეთის ყრილობის ანგარიშებს (ამხ. ზინოვიევის ბოლო სიტყვა, 7 სექტემბრის უკანასკნელი სხდომა) სათაურათ აქვს. „ინტერნაციონალის გარშემო“—უნდა იყოს კი; „აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობა“.

დრ. რედაქტორი: ლ. სუხიშვილი.